ი/მეწარმე „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გრიშაშვილის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) მდებარე რესტორან „გვირილა“-ს სარესტავრაციოდ გამოყოფილი გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო – გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა).

თბილისი

2025

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება ---------- 3
2. შესავალი ---------- 4
3. ადგილმდებარეობა ---------- 4
4. სამშენებლო კლიმატოლოგია ---------- 4
5. გეომორფოლოგია ---------- 5
6. ტექტონიკა და გეოლოგიური აგებულება ---------- 5
7. ჰიდროგეოლოგია ----------6
8. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ----------6
9. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 7

ტექსტური და გრაფიკული დანართი

1. აეროფოტო
2. ტოპოგეგმა
3. შურფის ლითოლოგიური ჭრილი
4. კლდოვანი ქანის ლაბორატორიული გამოცდა
5. გეოლოგიური ჭრილი
6. ილუსტრაციები

ტექნიკური დავალება

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

დამკვეთი – შპს „აბანო № 7“ ს/კ № 202451364;

შემსრულებელი – ინდ. მეწარე „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“ ს/კ № 31001007751

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონი იოსებ გრიშაშვილის ქ. №7. ზონა 01, სექტორი 18, კვარტალი 04, ნაკვეთის №019/036;

ობიექტის დასახელება – რესტორანი „გვირილა“.

შენობის ტიპი - შენობა ორსართულიანია აგურით ნაშენი;

საძირკვლის ტიპი და ჩაღრვავება - ლენტურია, ბეტონის, ჩაღრმავება 0,9მ;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მოხედვით - მეორე;

შესასრულებელი სამუშაო – აღნიშნულ ტერიტორიაზე სათანადო კვლევების ჩატარება, საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შეფასების და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით.

სამუშაოს შესრულების ვადა – ხელშეკულების შესაბამისად.

შესრულებული კვლევების ტექნიკური ანგარიში წარმოდგენილი იქნას აკინძული ერთ ეგზემპლიარად. ელექტროვერსიით

წინამდებარე დასკვნა წარმოადგენს დამკვეთის ტექნიკური დავალების და სინჟინრო – გეოლოგიური კვლევების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგს. სამუშაოები განახორციელა 2025 წლის აპრილში ინჟ. გეოლოგმა ა. ფეიქრიშვილმა. ტექნიკური დავალების მიხედვით საინჟინრო – გეოლოგიური გამოკვლევების მიზანს წარმოადგენს საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო – გეოლოგიური პირობების დადგენა და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის შესწავლა.
საშენებლო ნორმების და წესების (ს.ნ. და წ. 1.02.07.87 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მოთხოვნის შესაბამისად შესრულდა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

1. მოხდა საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა;
2. მოძიებული იქნა და დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა;
3. საკვლევ ტერიტორიაზე შენობის საძირკვლის გეომეტრიული ზომების, ფუძე გრუნტების სიმძლავრეების და მათი ფიზიკურ–მექანიკური თვისებების განსაზღვრის მიზნით გაყვანილი ერთი შურფი 1,0მ. მოტობური დახმარებით დაღრმავება მოხდა 2,0მ. სიღრმემდე;
4. სამთოგამონამუშევრების მიბმა ადგილობრივ ორიანტირებთან მოხდა დამკვეთის მიერ გადმოცემულ 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმების გამოყენებით;
5. აღებული იქნა კლდოვანი ქანის ერთი ნიმუში, რომლზეც ჩატარდა სათანადო ლაბორატორიული კვლევები;
6. ქანის ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა შპს“გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკურ ლაბორატორია“-ში აკადიმიურ დოქტორის ნ. სადრაძის ხელმძღვანელობით;
7. საველე და ფონდური მასალების დამუშავების შედეგად შედგა აღნიშნული საინჟინრო – გეოლოგიური დასკვნა;

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, იოსებ გრიშაშვილის ქ, №7 -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) შენობის სავარაუდო ცენტრის კორდინატებია: X=484291 და Y=461515009. აბსოლუტური სიმაღლე 403,5 – 407,3. შენობის გარშემო შემოსაზღვრულია ერთი და ორსართულიანი სხვადასხვა დანიშნულების შენობებით. შენობა ორსართულიანია. მთავარი დარბაზი მდებარეობს მეორე სართულზე. პროექტით გათვალისიწინებულია შენობის მიმდებარე ღია აივანის გადახურვა მსუბუქი კონსტრუქციებით. შენობა ორსართულიანია, პირველზე მოწყობილია სამზარეულო, მეორეზე კი დარბაზები. შენობის საძირკვლეი ლენტურია, ბეტონის, ჩაღრმავება 0,9. სიგანე 0,6მ. შენობა დაფუძნებულიას კლდოვან ქანებზე, ამიტო მასზე, ვიზუალური შეფასებით, გრუნტის ჯდენებით გამოწვევული დეფორმაციის ნიშნები არ ფიქსირდება. შენობა მდგრადია.

სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით (ᲡᲜ 01.05.08) სამშენებლო უბანი შედის III–გ რაიონში, ხოლო საგზაო დარაიონების (საგზაო კლიმატური ზონები ГОСТ ВСН 4683) მიხედვით მიეკუთვნება IV რაიონს, ზომიერად ცივი ზამთარით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11,5^{0}C. წლის ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით -0,1^{0}C, აბსოლუტური მინიმუმია -24^{0}C. ყველაძე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურა 22.4^{0}C. აბსოლუტური მაქსიმუმით 40,0^{0}C. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 67%, მაქსიმალური ფიქსირდება ნოემბერ–დაკემბერში (76%), მინიმალური აგვისტოში (56%). მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი 550მმ. დღე–

ღამური ატმოსფერული ნალექის მაქსიმუმი 143მმ–ია. ირიბი წვიმების (წვიმა თანხვედრილი ქართან ერთად) საშუალო წლიური რაოდენობა 140მმ–ია. აქედან თბილპერიოდისთვის მოდის 117მმ. თვის მაქსიმუმი 26მმ. თოვლის საფარიანი დღეთა რაოდენობა საშუალოდ 14 დღეა. თოვლის წონა 0,5კპა–ია. წლის განმავლობაში უფრო ხშირია ჩრდილეთის (36%) და ჩრდილო–დასავლეთის (23%) მიმართულების ქარები, ნაკლებად ინტენსიურია სამხრეთის (14%) და სამხრეთ–აღმოსავლეთის (10%). ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 73% მოდის შტილზე. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობებია 5 წელიწადში ერთხელ 0,73; 15 წელიწადში–0,85კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1, 5, 10, 15 და 20 წელწადში ერთხელ, შესაბამისად 28, 33, 35, 36 და 37მ/წმ. გრუნტის სეზონური ჩაყინვის ნორმატიული სიღრმე ნებისმიერ გრუნტში 0-ის ტოლია.

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიურად მოქცეულია თბილისის ქვაბულში და მოიცავს სეიდაბადის ქედის ჩრდილო ფერდობის ქვედა ნაწილს.
თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ერო-ზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია.
ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენა და მარცხენა მხარეების შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენა მხარეს შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესად მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევებით და ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დანაწევრებული პატარა მდინარეთა ხეობებით, ხევებით და ხრამებით. მარცხენა მხარე შედარებით დაბალია, ტერასირებულია და უფრო სჭარბობს გორაკ-ბორცვიანი რელიეფის ფორმები, რომლის ფორმირებაში დიდი როლო მიუძღვის მდ. მტკვარს. საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ უბანებს, აქდან გამომდინარე რელიეფის პირვანდელი ფორმები ძლიერ სახეშეცვლილია.

ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია, მოქცეულია აჭარა–თრიალეთის ნაოჭა სისტემის დაძირვის ზონის ასპინძა-მანგლისის ქვეზონის სეიდაბადის ანტიკლინურ სტრუქტურაში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით იძირება მტკვრის დაბლობის სინკლინურ სტრუქტურაში. საკვლევი უბნები და მათი მიმდებარე ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია შუა და ზედა ეოცენური ასკის ნალექებით, შუა ეოცენი წარმოდგენილია ტუფოგენური ნალექებით ანდეზიტური ლავების შუა განფენებით. ლითოლოგიურად ზედა ეოცენი წარმოდგენილია, ქვედა ნაწილში სქელი ფიქლობრივი თიხებით, წვრილმარცლოვანი ქვიშაქვების, მერგელების და მომწვანო ტუფოგენური ქვიშაქვების ხშირი შუა შრეებით. ზედა ნაწილში კი წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი ქვიშაქვების, თიხების და იშვიათად მერგელების მორიგეობითი წყებით. ლითოლოგიური ნიშნების და ფაუნის შემცველობის მიხედვით ზედა ეოცენის მძლავრი ნორმალურ დანალექი ნალექები თბილისის მიდამოებში იყოვა ორ წყებად: 1. ქვედა, ნავთლუღის ბიტუმიანი,ანუ თევზიანი წყება და 2. თბილისის, ანუ ნუმულიტური წყება. თბილისის წყება ხასიათდება წვრილშრეობრივი ალევროლიტების, წვრილმარცლოვანი ქვიშაქვების და მოყვითალო-მორუხო შეფერილობის წვრილშრეობრივი ფიქლობრივი ქვიშიანი თიხების მორიგეობითი დასტის, შედარებით სქელშრეობრივი, ღია ნაცრისფერი შეფერილობის ქვიშაქვების

მორიგეობებით. მიკროფაუნის, ლოთოლოგო-პეტროგრაფიული და მინელრალოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ზედა ეოცენის ფლიშური ნალექტებში გამოიყოფა 9 ჰორიზონტი, აქედან I შესაბამება ნავთლუღის წყებას, ხოლო ზედა 8 ჰორიზონტი შესაბამება ნუმულიტურ წყებას.
თანამედროვე ასაკის ფერდობული ფორმაციები ძირითადად წარმოდგენილნი არიან დელუვიური და დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით, ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან თიხებით და თიხნარებით მსხვილნატეხოვანი გრუნტის ჩანართებით. გზის ვაკისზე ეს ნალექები გადაფარულნი არიან ტექნოგენური გრუნტით.

სეისმური საშიშროების რუკის („სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ. 01. 01–09 დანართი 1–ის მიხედვით ქ. თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო უბნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, ამავე სტანდარტის ცხრილი № 1–ის მიხედვით, განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმუროზად მიღებული იქნას 8 ბალი. სეისმუროზის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17
ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია თბილისის წყალდაწნევითი სისტემის ნაპრალოვან და ნაპრალოვან–კარსტული წყლების რაიონში.
ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები: 1. მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები; 2. ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები და 3. შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.
გრუნტის წყლები ფოროვანი ცირკულაციისა და განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში და მდ. მტკვარის ჭალაში და ჭალის ზედა დაბალ ტერასებზე. ალუვიურ ნალექებში გავრცელებული გრუნტის წყლები ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით. გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში გავრცელებული გრუნტის წყები ხასიათდებიან მაღალი მინერალიზაციით, დაბალი დებიტებით და არამყარი რეჟიმით. მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის მაღალი ტერასები თითქმის უწყლოა, იშვიათად ძირითადი ქანების კონტაქტზე გვხვდება მაღალი მინერალიზაციის და მცირე დებიტიანი გრუნტის წყლები, სულფატურ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობით.
ზედა ეოცენის ნაპრალოვან მიწისქვეშა წყლებს ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექ და ზედა ცარცულ კარბონატულ დასტებთან.
შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები, საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს.
აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.
ჩვენს მიერ გაყვანილ შურფში გრუნტის წყლის გამოსავლავალი არ ფიქსირდება..

საინჟინრო–გეოლოგიური პირობები

შენობის ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საშიში გეოდინამიური პროცესები და მათ მიერ ჩამოყალიბებული რელიეფის ფორმები არ ფიქსირდება. უბანი მდგრადია და მშენებლობებისათვის მისაღებია.
გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე (ს.ნ. და წ. 1.02.07.87 დანართი 10) სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. საშუალო სირთულე მინიჭებული აქვს რელიეფის საკმაოდ დიდი დახრილობებოის გამო.
საველე ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, საკვლევ ტერიტორიაზე, გამოკვლევულ სიღრმემედე გამოიყოფა ორი ფენა, რომელთა დახასიათება მოცემულია ქვემოთ:

ფენა №1 ტექნოგენური გრუნტი, წარმოადგენილია სახვადასხვა ზომის და სახის სამშენებლო ნარჩენების, თიხნარის და მსხვილნატეხოვანი გრუნტის ნარევით. ფენის სიმძლავრე 0,4-0,5მ. უწყლოა.
ფენა №2 ძირითადი ქანები წარმოდგენილია მონაცრისფრო-მორუხო შეფერილობის გამოფიტული და ნაპრალოვანი ტუფოქვიშაქვებით, სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი მნიშვნელოვნად კლებულობს. ფენების დახრა ჩრდილო-დასავლეთურია, დახრის კუთხე 5˚. უწყლო.
ლაბორატორიული კვლევების მიხედვით ტუფოქვიშაქვის სიმკვრივე 2,26 გ/სმ^3; კუთრი შეჭიდულობა C_n=1,7მპა(17,0კგძ/სმ^2); შიგა ხახუნის კუთხე φ=22,5^0; დრეკადობის მოდული E=1497,3მპა(14973კგძ/სმ^2); სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე მშრალ მდგომარეობაში Rc=9,3მპა(93,0კგძ/სმ^2); წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc=5,7მპა(57,0კგძ/სმ^2);პუასონის კოეფიციენტი μ=0,11.
აქ გავრცელებული გრუნტები სუსტად დამარილებულია სულფატური მარილებით, და ახასიათებთ სულფატური აგრესიულობა სუსტად გამოხატული პორტლანცემენტზე (სახ. სტანდარტის 10178-76) დამზადებული წყალშეუღწევადი W_4 მარკის ბეტონის მიმართ და არა აგრესიულია W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ.

ზემოთ აღვიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ უბანზე გამოიყოფა ერთი საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე I- გამოფიტული და ნაპრალოვანი ტუფოქვიშაქვა.

დასკვნები და რეკომენდაციები

1.საკვლევი უბნი მდებარეობს ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, იოსებ გრიშაშვილის ქ, №7 -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) შენობის სავარაუდო ცენტრის კორდინატებია: X=484291 და Y=461515009. აბსოლუტური სიმაღლე 403,5 – 407,3;

2. შენობა ორსართულიანია. პირველზე მოწყობილია სამზარეულო, მეორეზე კი დარბაზები. პროექტით გათვალისიწინებულია, მეორე სართულზე შენობის მიმდებარე ღია აივანის გადახურვა მსუბუქი კონსტრუქციებით. შენობის საძირკვლეი ლენტურია, ბეტონის, ჩაღრმავება 0,9. სიგანე 0,6მ. შენობა დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე, ამიტო შენობის მზიდ

კედლებზე, ვიზუალური შეფასებით, გრუნტის ჯდენებით გამოწვევული დეფორმაციის ნიშნები არ ფიქსირდება. შენობა მდგრადია.

3.სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით (პნ 01.05.08) სამშენებლო უბანი შედის III–გ რაიონში, ხოლო საგზაო დარაიონების მიხედვით მიეკუთვნება IV რაიონს, ზომიერად ცივი ზამთარით და ცხელი ზაფხულითგრუნის ჩაყინვის სიღრმე ნებიმიერ გრუნტში 0-ის ტოლია;

4 ტერიტორია გეომორფოლოგიურად მოქცეულია თბილისის ქვაბულში და მოიცავს მდ. მტკვარის მარჯვენა მხარეს, სეიდაბადის ქედის ჩრდილო ფერდობს;

5. საკვლევი უბნის გეოლოგიურ აგებულიბაში მონაწილეობენ შუა ეოცენური ასაკის ტუფოქვიშაქვები;

6. ს. ნ. და წ. „სეისმედეგი მშენებლობა“, დანართი 1–ის მიხედვით ქ. თბილისი მოქცეულია 8 ბალიან მიწისძვრის ზონაში, ხოლო ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, განეკუთვნებიან II- IIIკატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურობად მიღებული იქნას 9 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17;

7. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია თბილისის წყალდაწნევითი სისტემის ნაპრალოვან და ნაპრალოვან–კარსტული წყლების რაიონში.

8. საკვლევ უბნზე, ჩვენს მიერ გაყვანილ შუფში გრუნტის წყლის გამოსავლებიო არ ფიქსირდება;

9. საშიში გეოდინამიური პროცესების ჩასახვა–განვითარების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის მისაღებია;

10. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნებან II (საშუალო სირთულის) კატეგორიას;

11. საკვლევ უბანზე გამოიყოფა ერთი საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი სგე I – გამოფიტული და ნაპრალოვანი ტუფოქვიშაქვა;

12. ქვემოთ №1 ცხრილში მოცემულია ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის აუცილებელი საანგარიშო მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ს.ნ. და წ. 2.02.01-83 და პნ 02.01-08, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე

ცხრილი 1

№№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები
		სგე I
1.	სიმკვრივე ρ გ/სმ³	2,26
2.	შინაგანი ხახუნის კუთხე φ⁰	22,5
3.	კუთრი შეჭიდულობა .C მპა (კგძ/სმ²)	1,7(17,0)
4.	დეფორმაციის მოდული E მპა(კგძ/სმ²) დრეკადობის მოდული E მპა(კგძ/სმ²)	1497,3(14973)
5.	პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro = კპა (კგძ/სმ²)	–
6.	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc =მპა(კგძ/სმ²)	5,7(57)
7.	პუასონის კოეფიციენტი μ	0.11

13. შენობა დაფუძნებულია კლდოვან ქანზე, საძირკველი ლენტურია, მოწყობილი ბეტონია, სიგანე 0,6მ, ჩაღრმავება 0,9მ;

14. შენობის ვიზუალური შეფასებით მზიდ კედლებზე გრუნტის ჯდენებით გამოწვევული დეფორმაციის ნიშნები არ ფიქსირდება, შენობა მდგრადია და მასზე მსუბუქი კონსტრუქციებით დატვირთვა შენობის მდგრადობაზე გავლენას არ მოახდენს;

15. გრუნტის დამუშავების სიძნელის ს.ნ. და წ. IV–5–82–ის მიხედვით: ტექნოგენური გრუნტი მიეკუთვნება 24ა რიგს დამუშავების IIკატეგორიას; ტუგამოფიტული ტუფოქვიშაქვა მიეკუთვნება 28ა რიგს, დამუშავების V კატეგორიას;

16. ქვაბულის ფერდოს ქანობი მიღებული იქნეს სნ და წ 3. 02. 01–87 § 3.11; § 3,15 და სნ და წ III-4–80 მე–9 თავის მოთხოვნების შესაბამისად;

ინდ. მეწარმე , / ა. ფეიქრიშვილი /

ინჟ. გეოლოგი / ა. ფეიქრიშვილი /



ტექსტური და გრაფიკული დანართი


01.18.04.019.036
აეროფოტო
მდ. მტკვარი
NAPR
NAPR
მდ. დაბახანა
საქართველო

ტოპოგეგმა



მისამართი: ქ.თბილისი,იოსებ გრიშაშვილის ქ.7 (01.18.04.019.036)

შ.პ.ს. „ტოპოგრაფი 2022“	
დირექტორი	ი. მამულაშვილი
შემსრულებელი	ი. მამულაშვილი
მასშტაბი 1:500	გაიცა: 02.12.2024

წყალგაყვანილობა; გაზი; კანალიზაცია; კავშირგაბმულობა; ელ. ქსელები; სანიაღვრე; შურფი; გეოლოგიური ჭრილის ხაზი; ბორდიური; ღობე; კედელი; რკინიგზა; მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი; ხეები; სამეთვალყურეო ჭები; რეზერვუარი; საერანსფორმატორო ტორო ჯიხური; რელიეფი; UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდინატები

№ 1 შურფის გეოლოგიურ - ლითოლოგიური ჭრილი

15.04.- 15.04. 2025 წ. მასშტაბი 1:50 აბს. ნიშნ.404.7

ფენის N	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიღრმე მ.	შრის სიმძლავრე მ.	აბს. ნიშნული მ.	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ.	დონის დამყარება	ნიმუშის აღების სიღრმე მ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	bQ4		0.9	0.9	403.8	ტექნოგენური გრუნტი წარმოდგენილია თიხნარი. მსხვილნატეხოვანი გრუნტების და სხვადასხვა სახის სამშენებლო ნარჩენების ნარევით. უწყლო		–	–
2	Pg_2^2		2	1.1	402.7	მონაცრისფრო-მორუხო ტუფოქვიშაქვა, ზედასპირთან სიახლოვეს გამოფიტული და ნაპრალოვანია, სიღრმეში სუსტად გამოფიტულია ფენების დახრა ჩრდილო-დასავლეთურია, დახრის კუთხე 5˚	–	–	1

პირობითი ნიშნები

 ტექნოგენური გრუნტი

 ტუფოქვიშაქვა

GEOLOGICAL SERVICE

შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური ლაბორატორია
Geological Service LTD Geotechnical Laboratory

სამუშაოს აწგარიში

შესრულებულია ქალაქ თბილისში, აბანოთუბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს.კ 01.18.04.019.036., რესტორან „გვირილას“ სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი სამშენებლო ტერიტორიიდან ამოღებული ქანის სიწყის ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე.

შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოლოგიის
აკადემიური დოქტორი **ნინო სადრაძე**

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.04.25 17:30:34

თბილისი 2025 წ

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის, ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი, ქანების ერთღერძა კუმშვაზე
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა, ერთღერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 21153,5-88 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი, ქანების ძვრაზე გამოცდით
5. ГОСТ 25100-95 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიშში წარმოდგენილია ერთი კლდოვანი ქანის ლაბორატორიული კვლევის შედეგები. შეიცავს:

4 გვერდს, 6 ცხრილს და1 ნახაზს.

სინჯის წარმომავლობაზე, ანგარიშის შემსრულებელი, პასუხს არ აგებს.

ცხრილი 1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	ფურცის №	სინჯის ამოღების სიღრმე, მ H	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, K	დრეკადობის მოდული წყალნაჯერ მდგომარეობაში, მეგპა E	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი φ	შეჭიდულობა, მეგპა C	სიმკვრივე, გ/სმ³ ρ
				გამომშრალი, σd	წყალნაჯერი, σw					
1	ტუფოგენური ქვიშაქვა	1	0,9-1,1	9,3	5,7	0,61	1497,3	22,5	1,7	2.26

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებ ების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	კლდოვანი, დაბალი სიმტკიცის1	მკვრივი2	დარბილებადი

შენიშვნა: *1– შეიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეოთხე რეიტინგის;*

2-ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.

ცხრილი 3- სიმკვრივე

სინჯის №	№	გამოცდილი ნიმუშის მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	40,34	45,39	23,37	4,17	17,85	2,26
	2	40,33	45,39	23,31	4,16	17,92	2,25

Nino Sadradze 01008013855

Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.04.25 17:30:57

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის									
	№	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ^2	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, მეგპა	დრეკადობის მოდული, მეგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1.1	4,46	4,45	4,47	19,85	0,80	2290	9,4		გამომშრალი
	1.2	4,44	4,45	4,46	19,76	0,80	2230	9,2		
	1.3	4,45	4,44	8,89	19,76	1,00	1145	5,9	1497.3	წყალნაჯერი
	1.4	4,45	4,46	4,48	19,85	0,80	1340	5,5		

ცხრილი 5-ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე

ნიმუში № 1.3		
F	I	II
0	0	0
100	3	2
200	5	4
300	7	7
400	10	10
500	13	13
600	16	16
700	19	19
800	22	22
900	25	25
1000	29	28
1100	34	33
1145	42	41

შენიშვნა: *F-ძალა, კგძ; I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენება, დანაყოფი. (ერთი დანაყოფი=0,01მმ-ს).*

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2023.04.25 17:33:23

ცხრილი 6- ძვრაზე გამოცდის პარამეტრები

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	ფართობი, სმ²	გამოცდის კუთხე გრადუსი	მრღვევი ძალა, კგძ	ნორმალური ძაბვა, მეგპა	მხები ძაბვა, მეგპა	შიგა ხახუნის კუთხე გრადუსი	შეჭიდულობა, მეგპა
1	1.1	4,25	4,24	18,02	30,0	449,0	1,25	2,17	22.5	1.7
	1.2	4,23	4,24	17,94	30,0	422,2	1,18	2,05		
	1.3	4,24	4,25	18,02	45,0	679,3	2,69	2,69		
	1.4	4,25	4,24	18,02	45,0	699,5	2,77	2,77		



ნახ. 1- ნორმალურ და მხებ ძაბვებს შორის დამოკიდებულების გრაფიკი. სინჯი 1.

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.04.25 17:31:44

შენობის სამხრეთ დასავლეთ კედლის გასწვრივ გრძივი პროფილის საინჟინრო - გეოლოგიური ჭრილი

მასშტაბი: ჰორიზონტალური 1:40
ვერტიკალური 1:100

ს.ა. ჩ.დ.



პირობითი ნიშნები:



ი/მ ალექსანდრე შეიძრიშვილი	
შეადგინა	ა. შეიძრიშვილი
დახაზა	რ. შეიძრიშვილი
2025 წ.	1


12:13 15/АПР/2025


12:13 15/АПР/2025


12:33 15/АПР/2025


12:44 15/АПР/2025



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ადიგენი
ADIGENI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
12.12.2019
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE019IA96226131001007751<<<<
5209233M2912121GE0<<<<<<<<<<<1
PEIKRISHVILI<<ALEKSANDRE<<<<<<



დიპლომი

A-I № 142487

ეს დიპლომი მიეცა პეიქრიშვილს ალექსანდრე პავლეს ძეს

მასზე, რომ იგი 1970 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

და 1975 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის

სრული კურსი სპეციალობით გეოგრაფიის სპეც. გეომორფოლოგიის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1975 წ. „30" ივნისის გადაწყვეტილებით ა. პ. პეიქრიშვილს მიენიჭა გეოგრაფის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ. ა.

მდივანი

ქალაქი თბილისი 1975 წ. „6" VIII

სარეგისტრაციო № 01/1755

Грузинский яз.

ДИПЛОМ

A-I № 142487

Настоящий диплом выдан Пейкришвили Александру Павловичу

в том, что он в 1970 году поступил в Тбилисский государственный университет

и в 1975 году окончил полный курс названного университета

по специальности география спец. геоморфология

Решением Государственной экзаменационной комиссии от „30" июня 1975 г. Пейкришвили А. П. присвоена квалификация географа

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П.

Секретарь

Город Тбилиси „6" VIII 1975 г.

Регистрационный № 01/1755

Московская типография Гознака. 1973.

CV



სახელი გვარი: ალექსანდრე ფეიქრიშვილი
დაბადების თარიღი: 23.09.1952 წ.

ოჯახური მდგომარეობა : დაოჯახებული

საკონტაქტო ინფორმაცია :

მისამართი : ქ.თბილისი, ავჭალის 11

ტელ.N (+995) 591-05-07-24

EMAIL : Leksopeikrishvili52@gmail.com

განათლება :

1959-1969 წ.წ. ადიგენის რ–ის სიფ. არლის საშუალო სკოლა

1970-1975 წ.წ. თბილისის სახ.უნივერსიტეტი გეოგრაფია –გეოლოგიის ფაკულტეტი

ენები :

ქართული – მშობლიური .

რუსული – საშუალო .

სამუშაო გამოცდილება :

ორგანიზაცია	სამუშაოთა თარიღი	თემა (ობიექტი)	თანამდებობა	დამკვეთი
მე-7 რ-ის ჰ/გეოლოგიური პარტია	02.1976-03.1993წ	კ. გაგრის, ქიბულეთის, ახალი ათონის, გურაუთის სანაპირო ზოლის სტაბილიზაციისათვის 1:2500 მ-ბის ს/გ და ჰ/გ ანგარიშის შედგენა	გეოლოგფოლო გი, ჯგუფის უფროსი.	საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრო
სპეციალური გეოლოგიური კვლევების ცენტრია	0.3.1991-02.1993წ.	ქ. გულრიფშიდან-ს.ურეკამდე სანაპირო ზოლის სპეციალური სამხედრო-საინჟინრო რუკის შედგენა	სპეც. პარტიის უფროსი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
შპს "სპეცგეო"	02.1993-06.2007წ	სომხეთის რესპუბლიკასთან 30კმ-იანი სასაზღვრო ზოლის სამხედრო-საინჟინრო რუკის შედგენა	სპეც პარტიის უფროსი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
საქართველოს თავდაცვის სამისტროს ტოპოგრაფიული სამართველო	06.2007-03-2010წ.	აფხაზეთის სამხედრო-საინჟნრო რუკის შედგენა და საქართველოს მღვიმეების და გამოქვაბულების კატალოგის შედგენა (თემატურად)	უფროსი სპეციალისტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
შპს „სპეცგრო 2008“	2010 - დღემდე	2012წ საგარეჯოს რ-ნი ს. იორმუღანლო სასაწყობე შენობის და სასიმიდე კოშკურების მოწყობისთვის ს/გეოლოგიური დასკვნის მომზადებაკვლევა. 2012w.წ ქ. თბილისი დიდი ლილო ყავის გადამამუშავები ქარხნის „ჩერი“-ის შენობის დაფუძნების ს/გეოლოგიური დასკვნის მომზადება. 20216 წ ქ. თბილისი მეტეხის ხიდთან აივნის რეკონსტრუქცია. კოჯორის ტაბახმელის, წავკისის და შინდისის შიდა გზების რებილიტაცია. მახათასხ მთაზე ახალი პანთეონის მოპროექტირების ს/გეოლოგიური დასკვნის მომზადება 2017წ. კახეთისა გზატკეცილი, თბილისის ბაგა-ბაღების, კუს ტბასთან მისასვლელი გზის, რებილიტაციის პროექტირების ს-გეოლოგიური ანგარიშების შედგენა. 2018წ. ქარელის შუიდა გზების, ზარბრუკენის ხიდის, ზესტაფონიში მდ. ყვირილაზე ხიდის, აღმაშენებლის ხეივნის გზის ორივე მხარის, საჯარეჯოს სიდა გზების რებილიტაციის პროექტირების ს-გეოლოგიური დასკვნების მომზადება. 2019.წ. ქუთაისის	წამყვანი სპეციალისტი	შპს „TR Georgia Project 2“ შპს „ჯორჯიან ჰაუსი“ს/კ 205211910 შპს „გზაჯვარედინიო 21“ შპს „გზაჯვარედინიო 21“ შპს „გზაჯვარედინიო 21“ შპს „გზაჯვარედინიო 21“

		ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შიდა გზე3ბის მოყობის, კოჯრის გზ-ლი 6-ის მიმდებარედ ესტაკადის მოწყობის, ძველი ანაგის შიდა გზების რეაბილიტაციის, გუდამაყრის ხეობაში გამავალი გზატკეცილის რეაბილიტაციის პროექტირების ს-გეოლოგიური დასკვნების მომზადებაზ. 2020წ. თბილისის ნაძალადევი რ-ნის ქუჩების, აეროპორტის ხიდის, გორის ქუჩების რეაბილიტაციის. ონის რაიონის სტიქიით დაზიანებული გზების აღდგენის პროექტირების ს-გეოლოგიური დასკვნების მომზადება. 2021წ. თერჯოლა-ქ. სიმონეთის კვანძის რეაბილიტაციის, ლენტეხის და აჭარის დაზიანებუკლი გზების მონაკვეთების აღდგენის , ჟნვალი-ბარისახო-შატილის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციის, თბილისტეფანწმინა ლარსის გზის დაზიანებული უბნის რეაბილიტაციის პროექტირების ს-გეოლოგიური დასკვნების მომზადება. 2022წ. ს. ფშავი-აბანოს უღეტეხილი-ომალოს გზის რეაბილიტაციის, ქ. ზესტაფონში დაზიანებული გზის მონაკვეთის პაღდეგენის პროექტირებისათვის სს/გეოლოგიური დასკვნების მომზადება. 2023წ. ბათუმი-ახალციხის გზის გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანეული მონაკვეთეწბის აღდგენის პროექტირების ს/გეოლოგიური დასკვნის მომზადება. 2024წ.ქთბილისში ს. თხინვალას შიდა გზის მოწყობის, წყნეთის გზატკეცილის და ახალდაბის გზის დამეწყრილი უბნების გამაგრების პროექტირების ს/გეოლოგიური დასკვნების მომზადება.,.		
ინდ. მეწარმე	2017-წ-დღემდე	მომზადებული მაქვს მრავლობითი კერძო და სხვადსავა რაიონული მუნიციპალიტეტების მიერ დაკვეთილი სხვადასხვა ობიექტების სარეაბილ;იტაციო, მოწყობის და დასაფუძნებლად გამოყოფილი სამშენებლო მოედნების ს/ გეოლოგიური დასკვნების მომზადება.		

სარკომენდაციო წერილი

ეძლევა ალექსანდრე ფეიქრიშვილს, რომელსაც 1970-1975 წწ გავლილი აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეომორფოლოგიის ფაკულტეტის სრული კურსი და მინიჭებული აქვს გეოგრაფის კვალიფიკაცია. ბატონი ალექსანდრე, უმაღლესის დამთავრებისთანავე, განაწილებული იქნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროში, გეოლოგიური ჯგუფის უფროსად და მას მერე, 1976 წლიდან დღემდე, მუშაობს საინჟინრო-გეოლოგიის მიმართულებით, სხვადასხვა ორგანიზაციებში გეოლოგის პოზიციაზე. შრომის წიგნაკის ამონაწერის ნუსხა და დიპლომი თან ახლავს სარეკომენდაციო წერილს. მისი საინჟინრო-გეოლოგიურ სფეროში მრავალწლიანი თეორიული, თუ პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ალექსანდრე ფეიქრიშვილს რეკომენდაცია გავუწიოთ, რომ მან კვლავაც გააგრძელოს მოღვაწეობა ამ სფეროში, რომელსაც უკვე 49 წელია ერთგულად ემსახურება - ჩაატაროს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადოს შესაბამისი დასკვნები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის
აკადემიური დოქტორი, საქართველოს
საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ია მშვიდობაძე

ია მშვიდობაძე

Ia Mshvidobadze 01024023058
Digitally signed by Ia Mshvidobadze
Date: 2025.03.19 00:06:40

<u>საექსპერტო შეფასება</u>

ანგარიშზე: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონის გრიშაშვილის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) მდებარე რესტორან „გვირილა“-ს რესტავრაციასთან დაკავშირებით საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

შპს „აბანო № 7“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2025 წლის აპრილში შემოწმებულია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონის გრიშაშვილის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) მდებარე რესტორან „გვირილა“-ს რესტავრაციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, გ. ჩიტაიას ქ. № 33–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.16.06.002.001) იტალიურ ეზოში მდებარე ორსართულიან შენობაზე მანსარდის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. მეწარე „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“-ს მიერ 2025 წლის აპრილში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ალ. ფეიქრიშვილი. მის მიერ მოხდა: საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა, დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა. ჩატარებულია საველე სამუშაოები, ხოლო ქანის ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა შპს “გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკურ ლაბორატორია“-ში აკადემიურ დოქტორის ნ. სადრაძის ხელმძღვანელობით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 6 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. გრუნტის კვლევის შედეგები ..... 2 გვ;
4. შურფის ლითოლოგიური სვეტი..... 1 ფურც;
5. გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც;
6. აეროფოტო ..... 1 ფურც;
7. ფოტომასალა ..... 4 ფოტო;
8. ტოპოგეგმა სამთოგამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც.

პროექტი ითვალისწინებს რესტორან „გვირილა“-ს რესტავრაციას. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მოხედვით - მეორე. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქ, №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) შენობის სავარაუდო ცენტრის კორდინატებია: X=484291 და Y=461515009. აბსოლუტური სიმაღლე 403,5 – 407,3. შენობა შემოსაზღვრულია ერთი და ორსართულიანი სხვადასხვა დანიშნულების შენობებით. შენობა ორსართულიანია.

მთავარი დარბაზი მდებარეობს მეორე სართულზე. პროექტით გათვალისწინებულია შენობის მიმდებარე ღია აივანის გადახურვა მსუბუქი კონსტრუქციებით. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამზარეულო, მეორეზე კი დარბაზები. შენობის საძირკვლი ლენტურია, ბეტონის, ჩაღრმავება 0,9. სიგანე 0,6მ. შენობა დაფუძნებულიას კლდოვან ქანებზე, ამიტო მასზე, ვიზუალური შეფასებით, გრუნტის ჯდენებით გამოწვევული დეფორმაციის ნიშნები არ ფიქსირდება. შენობა მდგრადია.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, საძირკვლის გეომეტრიული ზომის და ფუძე გრუნტების სიმძლავრეების და მათი ფიზიკურ–მექანიკური თვისებების განსაზღვრის მიზნით გაყვანილი იქნა, 1მ. სიღრმის შურფი. მოტობურის დახმარებით ჩაიბურღა 2მ. სიღრმემდე. აღებული იქნა კლდოვანი ქანის ერთი ნიმუში, რომლებზეც ჩატარებულია სათანადო კვლევები

საველე, ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოიყო შემდეგი ფენები:

1. ფენა №1 **ტექნოგენური გრუნტი** წარმოდგენილია სახვადასხვა ზომის და სახის სამშენებლო ნარჩენების, თიხნარის და მსხვილნატეხოვანი გრუნტის ნარევით. ფენის სიმძლავრე 0,4-0,5მ. უწყლოა.
2. ფენა №2 - სგე I - ძირითადი ქანები წარმოდგენილია მონაცრისფრო-მორუხო შეფერილობის გამოფიტული და ნაპრალოვანი ტუფოქვიშაქვებით, სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი მნიშვნელოვნად კლებულობს. ფენების დახრა ჩრდილო-დასავლეთურია, დახრის კუთხე 5°. უწყლო.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=2,26 გ/სმ^3;
- დრეკადობის მოდული E=1497,3მპა(14973კგძ/სმ2);
- წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc=5,7მპა(57,0კგძ/სმ^2);
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,11

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანის საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. შენობის საძირკვლები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მზიდ კედლებზე გრუნტის ჯდენებით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები არ ფიქსირდება.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გაყვანილ სამთოგამონამუშევრებში გრუნტი წყალი არ გამოვლენილა.

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო რაიონი, რელიეფის საკმაოდ დიდი დახრილობებოის გამო, მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. მოუხედავაც იმისა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ "ქ. თბილისის გეოლოგიური

საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია გეოლოგიური საფრთხის საშუალო ზონაში. ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისა და საველე სამუშაოების დროს დადგინდა, რომ საკვლევ უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. შენობა მდგრადია და მასზე მსუბუქი კონსტრუქციებით გადახურვის დატვირთვა შენობის მდგრადობაზე გავლენას არ მოახდენს.

დასკვნა

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონის გრიშაშვილის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.18.04.019.036) მდებარე რესტორან „გვირილა“-ს რესტავრაციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: /ია მშვიდობაძე/

Ia Mshvidobadze 01024023058
Digitally signed by Ia Mshvidobadze
Date: 2025.04.27 16:56:35

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოდარის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დაამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა;
	1984 წელს დაამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
